მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №48

2022 წლის 27 მაისი

ქ. მარტვილი

მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერმა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოადგინა მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის მიმოხილვა, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან, რომელიც მოსმენილი და შეფასებულ იქნა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მ/წლის 27 მაისს გამართულ საკრებულოს სხდომაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექის“ შესაბამისად

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულება შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.
2. განკარგულება გადაეგზავნოს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის.: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა